



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ilia State University

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და
საერთაშორისო ასპექტები

ლევან ჯგერენაია

თბილისი

2012 წ.

სარჩევი

შესავალი	3
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არსი	4
მოკლე ისტორიული ექსკურსი.....	5
პირადი ცხოვრების კონსტიტუციური გარანტიები.....	6
პირადი ცხოვრების დაცვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში	7
პირადი (დაცული) სფერო	8
ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა.....	8
პერსონალური მონაცემების დაცვა - საკანონმდებლო რეგულირება.....	9
მონაცემთა დამუშავება.....	10
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დაცვა	12
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.....	14
სანქციები	15
დასკვნა	15
ციტირებული ლიტერატურა	20
გამოყენებული ლიტერატურა.....	21
ბიბლიოგრაფია	23

შესავალი

წინამდებარე თემის კვლევის საგანს წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები ქართულ კანონმდებლობაში, კერძოდ კი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში და მისი საერთაშორისო ასპექტები.

ნაშრომში განხილულია საქართველოს კონსტიტუციის ის ნორმები, რომლებიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავენ, ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. ასევე შემოთავაზებულია იმ პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები, რომელიც აღმოჩენილია აღნიშნული კანონის განხილვისას.

ნაშრომში ნათლად არის წარმოჩენილი ის პრობლემური საკითხები, რომლებიც უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას საქართველოში.

წარმოჩენილ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, შემუშავებულია მისი გადაჭრის გზები და გარკვეული რეკომენდაციები.

კვლევაში ასევე გაანალიზებულია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც მოცემულ თემას უკავშირდება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა განხილულია სხვადასხვა კუთხით.

თემი აქტუალობა

თემის აქტუალობას წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მექანიზმების გააზრება. იმ საკონმდებლო ხარვეზების წარმოჩენა, რომელიც უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

თემის მიზანი

წინამდებარე თემის მიზანია, წარმოაჩინოს ის ხარვეზები და პრობლემები, რომელიც დაკავშირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვასთან. ასევე მათი გადაჭრის გზები და გარკვეული რეკომენდაციები.

სამეცნიერო სიახლე

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს:

1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მექანიზმების ანალიზი, მათი გააზრება, შედარება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;
2. პირადი ცხოვრების წარმოჩენა სხვადასხვა ასპექტებში. იმ სფეროების დადგენა, რომელიც მოიცავს პირად ცხოვრებას;
3. კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზები.

წინამდებარე ნაშრომში, წარმოდგენილია რამდენიმე პრობლემატური საკითხი - პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით. მათი რეგულირება, ანალიზი და შედარება სხვადასხვა კანონებთან თუ კონსტიტუციასთან.

წინამდებარე ნაშრომს თან ერთვის:

- სარჩევი;
- ციტირებული ლიტერატურის ნუსხა;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- ბიბლიოგრაფია.

ნაშრომი შედგება ოთხი პარაგრაფისაგან. ყოველ პარაგრაფში თანმიმდევრულად არის განხილული ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც უკავშირდებიან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

პირველ პარაგრაფში არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ზოგადი მიმოხილვა, მისი არსის განხილვა და მოკლე ისტორიული ექსკურსი.

მეორე პარაგრაფში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტიები, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

მესამე პარაგრაფში განხილულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. გაანალიზებული და წარმოჩენილია მასში არსებული პრობლემები და ხარვეზები.

მეოთხე პარაგრაფში მოცემულია დასკვნითი ნაწილი, სადაც მოკლედ არის ჩამოყალიბებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხები და აქვე მოცემულია მათი გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

§ 1

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არსი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ეს უკანასკნელი, კონსტიტუციაში „ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა“ ნაწილშია მოქცეული, ანუ ის ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს და კონსტიტუციაშიც მოთავსებულია შესაბამის თავში.

გარდა კონსტიტუციისა, მას ასევე იცავს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლის მონაწილე საქართველოც არის. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული

კონვენცია. ეს კი, მის მნიშვნელობასა და ღირებულებას უფრო ამაღლებს და უკეთ წარმოაჩენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი.

მოკლე ისტორიული ექსკურსი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აქვს.

საინტერესოა ანალიზი, თუ, როდის გაჩნდა პირველად საუბარი იმაზე, რომ ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება? როგორი ფორმით იყო ის? სად წარმოიშვა და როგორია მისი ევოლუცია?

ამერიკაში, ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოსამართლემ განმარტა, რომ ადამიანს აქვს მარტო დარჩენის უფლება (to be let alone).¹ რაც ფართო გაგებით უნდა გავიგოთ, ანუ მოცემული დებულების მიხედვით, ადამიანს უფლება აქვს იყოს მარტო იმ ვარაუდით, რომ მისი პირადი ცხოვრება იქნება დაცული.

მარტო დარჩენის უფლებაზე (The right to be alone), ასევე საუბარია თომას ქულის ტექსტში.²

1873 წელს გამოვიდა ფიცჯეიმს სტეფანის ნაშრომი, სადაც საუბარი იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე.³

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით.

უფრო მოგვიანებით - 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

მსგავს უფლებას, თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია ითვალისწინებს. მაგ: თურქეთის რესპუბლიკის 1982 წელს მიღებული კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

საქართველოში, პირველად პირადი ცხოვრების დაცვაზე საუბარი იყო 1921 წლის კონსტიტუციაში. ამავე კონსტიტუციის 22-ე მუხლის მიხედვით: „პიროვნება ხელშეუვალი; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვა მხრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით“. 28-ე მუხლით კი, იკრძალებოდა ბინის გაჩხრეკვა, ამისთვის საჭირო იყო სასამართლოს დადგენილება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

¹ WHEATON v. PETERS, 591 (U.S. Supreme Court January 1834).

² Cooley, T. M. (1888). *A Treatise on the Law of Torts* 29. United States.

³ James, S. F. (1873). *Liberty, Equality, Fraternity*.

§ 2

პირადი ცხოვრების კონსტიტუციური გარანტიები

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მთავარი გარანტი საქართველოში, საქართველოს კონსტიტუციაა. კერძოდ კი, კონსტიტუციის მე-20 მუხლი:

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის მე-20 მუხლი, იცავს ნებისმიერ პირს და ის არ არის მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტი.

მართალია, მოცემული დებულება იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მაგრამ არა აბსოლუტურად. იქვე არის დათქმა, რომელიც უშვებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც დასაშვებია მისი „ხელყოფა“.

მსგავსი შეზღუდვა დასაშვებია, თუ ამაზე არსებობს „სასამართლოს გადაწყვეტილება“. აქვე არსებობს ბუნდოვანი დათქმა, როცა ნათქვამია „...ან მის გარეშე“, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

კონსტიტუციით, ასევე აკრძალულია საცხოვრებელ ბინაში შესვლა და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ. თუმცა, აქაც არსებობს ამის შეზღუდვის გზა, როდესაც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მსგავსი უფლების შეზღუდვა უნდა ემსახუროდეს საჯარო ინტერესებს, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სადაოა, თუ რა არის „საჯარო ინტერესი“ ან/და სახელმწიფოს უსაფრთხოება“, ამიტომაც არის შემთხვევები, როცა ხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ხელყოფა, უკანონოდ.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, მხოლოდ კონსტიტუციაში არსებული დებულება არ არის საკმარისი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისათვის.

პირადი ცხოვრების დაცვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში

საქართველო უერთდება სხვადასხვა, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომელთაც გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა შიდა ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას. ამიტომაც საინტერესოა ამ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების როლი პირადი ცხოვრების დაცვის ჭრილში.

„საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ მე-17 მუხლში კვითხულობთ: 1. არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ღირებულებებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.

2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა და ხელყოფისგან.

მოცემული მუხლის პირველი ნაწილი, სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას პიროვნების პირადი ცხოვრება, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად, თუ დაირღვა პირის ასეთ უფლება, მას აძლევს საშუალებას, დაიცვას თავი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლში ნათქვამია: 1. ყველას აქვს უფლება პატივი სცეს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯამრთელობის, მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად: „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა და მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივის და რეპუტაციის, ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისგან“

საქართველოში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო შეთანხმებები. აღსანიშნავია, რომ სწორედ მათი მეშვეობით არის დაშვებული ამ უფლების შეზღუდვა, რომელსაც დეტალურად არეგულირებს შესაბამისი ნორმატიული აქტები, რაზეც ცალკე თავში იქნება საუბარი.

§3

პირადი (დაცული) სფერო

უკვე რამდენჯერმე შევხვდით ტერმინს - „პირადი ცხოვრება“. საინტერესოა, თუ რა ფარგლებს მოიცავს იგი. რისგან შედგება და რაში მდგომარეობს მისი არსი.

საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო შეთანხმებებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მოცემული ნორმები, იცავენ ზოგადად „პირად სფეროს“. საინტერესოა, რითი შემოიფარგლება პირადი სფერო? კონსტიტუციიდან ჩანს, რომ ზოგადად არსებობს „დაცული სფერო“, თუმცა მასში შეიძლება მოვიაზროთ რამდენიმე ნაწილი. ციტირებული ნორმებიდან, ეს შეიძლება პირობითად სამ ნაწილად დავყოთ: 1. პირადი ცხოვრება; 2. მიმოწერის ხელშეუხებლობა; 3. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა.

„პირადი ცხოვრება“ - ძალიან საკამათო და ბუნდოვანი, თითქმის არაფრის მთქმელი ტერმინია. სწორედ მისი ბუნდოვანება წარმოადგენს დავის არსს. სად გადის ზღვარი პირად სფეროსა და საჯარო სფეროს შორის, როგორ შეიძლება მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა?

პირადი ცხოვრების ზუსტი დეფინიცია არ გვაქვს მოცემული (სრულიად მართებულად). მისი განსაზღვრის შესახებ არსებობს გარკვეული „მითითებები“ სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკიდან.

ერთ-ერთ სასამართლო დავაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრება“ ფართო ცნებაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრას.⁴

იურიდიულ დოქტრინაში, პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით, საუბარია რამდენიმე ელემენტის ერთობლიობაზე: 1. პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობაზე; 2. სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების შეგროვებასა და შენახვაზე, პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე; 3. სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებაზე; 4. სახელეზე.⁵

ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა

მორალურ ხელშეუხებლობაზე საუბარია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში. კერძოდ კი, ამავე მუხლის თანახმად „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“.⁶

⁴ Costello-Roberts v. the United Kingdom, Series A no. 247-C (The European Court of Human Rights 1993 წლის 25 მარტი).

⁵ იზორია, ლევან; კორკელია, კონსტანტინე; კუბლაშვილი, კონსტანტინე; ხუბუა, გიორგი;. (2005). *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი". გვ. 123.

⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლი.

გარდა კონსტიტუციისა, მორალური ხელშეუხებლობის დამცველი ნორმა გვხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც (შემდგომში - სამოქალაქო კოდექსი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად: „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას, საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია, შელახვისაგან“.⁷

სახელმწიფო ერთის მხრივ ვალდებულია დაიცვას ადამიანის პატივი და ღირსება, ხოლო მეორე მხრივ, ვალდებულია უფლების დარღვევის შემთხვევაში, აღკვეთოს იგი.

§ 4

პერსონალური მონაცემების დაცვა - საკანონმდებლო რეგულირება

2011 წლის 28 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2012 წლის პირველი მაისიდან (გარდა 43-ე - 55-ე მუხლებისა).

კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.⁸

კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური ან ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, აგრეთვე არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება.⁹

მონაცემების დამუშავება ხდება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ. კანონი განმარტავს, თუ ვინ შეიძლება იყოს ასეთი. მონაცემთა დამმუშავებელია: „საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს“.

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეატყობინოს

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-18 მუხლი, მე-2 ნაწ.

⁸ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. (2011 წლის 28 დეკემბერი). თბილისი, საქართველო. მუხლი 1.

⁹ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. (2011 წლის 28 დეკემბერი). თბილისი, საქართველო. მუხლი 3.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ამ კანონის მე-19 მუხლით ¹⁰ გათვალისწინებული ინფორმაცია.

მონაცემთა დამუშავება

როგორც მოცემული კანონის ტექსტიდან ჩანს, კანონი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მიერ. დამუშავებული მონაცემები კი, გადაეგზავნება მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, რომელიც დამუშავების კანონიერების ზედამხედველის როლში გვევლინება. ტერმინი „დამუშავება“ გულისხმობს პერსონალურ მონაცემებზე შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, რაც ასევე მოიცავს მონაცემთა გამჟღავნების - მისი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზას.

უფრო დეტალურად რომ განვიმარტოთ, „მონაცემთა დამუშავების“ განმარტებას იძლევა, „შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიო- ან ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება“. როგორც ჩანს, მონაცემთა დამუშავება, მრავალ სპექტრს მოიცავს და ამასთანავე, არ არის გამოყოფილი მათი დაცვის დონე - ანუ კანონმდებლობა, მათ მიიჩნევს ერთ დონეზე დაცვის ღირსად. არ არის გამოკვეთილი, თუ, რომელი უფრო პრიორიტეტულია, რაც თავის მხრივ, უკვე წარმოადგენს პრობლემას. მაგ. ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებას შორის არ არის განსხვავება, პრიორიტეტულობის მხრივ. მართალია, მონაცემების შეგროვების პროცესშიც შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებები, მაგრამ ზოგადად, მონაცემების/ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება უფრო ხელყოს ადამიანის უფლებები. ამიტომ ეს უკანასკნელი, უფრო მეტად უნდა იყოს დაცული.

კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, განსაზღვრულია, რომ „მონაცემების შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის“. ეს დებულება, შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დავყოთ - „მკაფიოდ განსაზღვრული“ და „კანონიერი მიზანი“. მართალია, ერთი შეხედვით ამაში არ ჩანს არავითარი პრობლემა, თუმცა, კანონში ვერსად ვხვდებით, თუ რა არის „მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზანი“. ამ შემთხვევაში, არ არის დადგენილი, თუ ვისი ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს მონაცემების შეგროვება და ვისი კანონიერი მიზნებისათვის უნდა იყოს იგი განკუთვნილი. ასევე არც ისაა განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს „მკაფიოდ განსაზღვრული“, ვინ არის ამ უკანასკნელის ასეთად მიჩნევაზე კომპეტენტური და, რის საფუძველად მიიჩნევს მას ასეთად.

¹⁰ ა) ფაილური სისტემის სახელწოდება; ბ) მონაცემთა დამუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დასახელებები და მისამართები, მონაცემთა შენახვის ან/და დამუშავების ადგილი; გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; დ) მონაცემთა სუბიექტის კატეგორია; ე) მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში; ვ) მონაცემთა დამუშავების მიზანი; ზ) მონაცემთა შენახვის ვადა; თ) მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ფაქტი და საფუძვლები; ი) ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები; კ) ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძველი; ლ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა.

იმისათვის, რომ მოხდეს მონაცემთა დამუშავება, აუცილებელია, რომ დაშვებული იყოს მისი დამუშავება. კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ, მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

ტერმინთა განმარტებაში გვხვდება ცნება „თანხმობა“, რაც ასე განიმარტება: „მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება“. დაშვებულია, რომ მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა გაიცეს ზეპირად. თუმცა, არ არის განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს ზეპირად თანხმობის გაცემა. თუ ზეპირ თანხმობაში იგულისხმება, მაგ. ტელეფონით საუბრისას გამოთქმული თანხმობა, მაშინ რა საჭირო იყო, ზეპირისგან ცალკე - სატელეკომუნიკაციო-ს გამოყოფა? მოცემული ჩანაწერის მიხედვით, ზეპირ თანხმობაში, შეიძლება მივიჩნიოთ პირისპირ საუბრისას მიცემული თანხმობა.

ასეთ შემთხვევაში დგება მტკიცების ტვირთის საკითხი, როგორ უნდა დამტკიცდეს, პირმა ნამდვილად გასცა თანხმობა თუ არა? ინფორმაციის დამმუშავებელს შეუძლია ამტკიცოს, რომ მან მართლაც მიიღო ასეთი თანხმობა (როცა სინამდვილეში არ მიუღია) და ასევე, პირს შეუძლია ამტკიცოს, რომ მას არ მიუცია ნებართვა ინფორმაციის დამუშავებაზე (როცა სინამდვილეში გასცა ასეთი თანხმობა). ამიტომ სიტყვა „ზეპირი“ მოითხოვს დაზუსტებას, თუ რას მოიცავს ის. განსაზღვრული უნდა იყოს, რომ ზეპირი თანხმობა ნიშნავს, მაგ. ვიდეო კამერის საშუალებით მიცემულ თანხმობას, რომლის შესაბამისი წესით შესრულებული ჩანაწერი არსებობს.

ზემოთ მოყვანილი პუნქტებში, არსებობს რამდენიმე ბუნდოვანი და ზოგიერთი იურისტის აზრით - კანონსაწინააღმდეგო საკითხიც კი.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ: „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს

ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.“ ე.ი მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მაშინ, როცა ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან, კერძოდ კი „გ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მაშინაც, როცა „მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად“. აღნიშნული დებულება, შეიძლება დაუპირისპირო კონსტიტუციაში მოცემულ ჩანაწერს, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო.

ამასთან დაკავშირებით, საია-ს იურისტი, სოფო ვერძეული მიიჩნევს რომ ეს დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს, რადგან „მსგავს საფუძველს არ ითვალისწინებს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, რითაც გათვალისწინებულია ის საფუძველები, რა საფუძველებითაც შეიძლება მოხდეს პირადი ინფორმაციის დამუშავება. ეს ნიშნავს იმას, რომ კანონპროექტის შემუშავებული ვერსია რეალურად ცვლის ამ საკითხის კონსტიტუციურ რეგულირებას და აწესებს განსხვავებულ რეგულაციას, რაც არის დაუშვებელი“.¹¹

ასევე „ზ“ პუნქტში არის ჩანაწერი, რომელიც არის მონაცემების დამუშავების დაშვების საფუძველი, იმ შემთხვევაში, თუ „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად“. თუმცა, „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი“ ბუნდოვანი რჩება. გაურკვეველია, თუ რას მოიცავს ეს უკანასკნელი.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დაცვა

კანონში ტერმინთა განმარტების სახით არსებობს „განსაკუთრებულ კატეგორიის მონაცემების“ ცნება, რომელიც შედგება შემდეგი სახის მონაცემებისაგან: „მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლეობასთან, ასევე ბიომეტრული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით“. თუ დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ რამდენიმე კატეგორიის მონაცემებია ერთმანეთთან დაკავშირებული და კანონი მას თანაბარი დაცვის ღირსად მიიჩნევს. მაგ: სქესობრივ ცხოვრებასთან და ნასამართლეობასთან დაკავშირებულ მონაცემს ერთმანეთს უთანაბრებს. მაშინ, როცა სქესობრივ ან იგივე

¹¹ კანონპროექტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევს. (2011 წლის 18 თებერვალი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from [humanrights.ge](http://www.humanrights.ge/): <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12952&lang=geo>

რელიგიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემები არის კონსტიტუციური უფლება, რომელიც ადამიანის ძირითად უფლებებში ექცევა, განსხვავებით ნასამართლეობასთან დაკავშირებული მონაცემებისა. შესაბამისად, გაუმართლებელია, ეს ორი სახის მონაცემები ერთმანეთს გაუთანაბრო. ცალსახად უფრო მეტი დაცვის გარანტიების ღირსია სქესობრივ ან, თუნდაც იგივე, რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებული მონაცემები. ეს გათვალისწინებულია ეროპული კონვენციითაც. სწორედ ამიტომ, გაუმართლებად მიმაჩნია, მათი ერთ რანგში განხილვა.

კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტსა და ამავე კანონის მე-6 მუხლს შორის არის კავშირი, რაც ერთობლივად უნდა განვიხილოთ. ერთის მხრივ განმარტებულია, თუ რას ნიშნავს „განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები“ (ეს ასევე მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მონაცემებს, როგორიცაა პირის რასობრივი, ეთნიკური, სექსუალური და რელიგიური მრწამსი), ხოლო მე-6 მუხლი კრძალავს მის დამუშავებას. თუმცა, იქვე გამონაკლისის სახით იძლევა მისი დამუშავების შესაძლებლობას რიგ შემთხვევებში, მაგ. როგორიცაა - „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვა“. თავის მხრივ, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი ფართო ცნებაა და რთულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინო, თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის მქონე, გარკვეული ინფორმაცია. აქ კი, მთავარი ისაა, რომ კანონი უშვებს ისეთი სახის ინფორმაციის დამუშავებასაც, როგორიცაა - სექსუალურ, რელიგიურ, ეთნიკურ და რასობრივ მრწამსთან დაკავშირებული მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გაცემასთან და მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ადმინისტრაციული კოდექსი) III თავი (ინფორმაციის თავისუფლება). ამავე კოდექსის 43-ე მუხლი, უშუალოდ ეხება პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს. ამავე მუხლის „ბ“ პუნქტი ადგენს: „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ, ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებასთან“. ნათელია, რომ ამ ორ კანონს შორის არსებობს წინააღმდეგობა. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი უშვებს მსგავსი სახის ინფორმაციის დამუშავებას, ხოლო ადმინისტრაციული კოდექსი, ცალსახად კრძალავს ასეთი სახის ინფორმაციის დამუშავებას.

საინტერესოა, რომელი კანონის დაიცავს პირის უფლებებს, ასეთი მონაცემების დამუშავებისას? ან, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ?

ვინაიდან, ადმინისტრაციული კოდექსი და „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთი და იგივე იერარქიის კანონია, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოყენებული იქნება ეს უკანასკნელი, როგორც „უფრო ახალი კანონი“.

მოცემულ შემთხვევაში, აუცილებლად საჭიროებს აღნიშნული ნორმები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა...“.

კონსტიტუცია განსაზღვრავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული სახის ინფორმაციის/მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა, რადგან ის ადამიანის ძირითად უფლებას განეკუთვნება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

კანონი იცნობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის (ინსპექტორი) ინსტიტუტს. ინსპექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება მონაცემთა დამუშავებაზე კანონიერების კონტროლი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) იურისტი - თამარ კორძაია, ამ ინსტიტუტს დაახლოებით ისეთი სახის ინსტიტუტად მიიჩნევს პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში, როგორიცაა სახალხო დამცველის ინსტიტუტი.¹² თუმცა აღნიშნავს, რომ გარკვეულმა ფაქტორებმა, შეიძლება ხელი შეუშალოს მის საქმიანობას, კერძოდ, იმან, რომ ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნვა ხდება პრემიერ-მინისტრის მიერ. კონსტიტუციური ცვლილების შესაბამისად კი (რომლის ძალაში შესვლაც უკავშირდება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს), მთავრობის მეთაური არის პრემიერ-მინისტრი. შესაბამისად, ექვს ქვეშ დგას, თუ რამდენად სამართლიანია მისი დანიშნვა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ?

უფრო შორს თუ წავალთ, მივალთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპამდე, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს - საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. აღმასრულებელ ხელისუფლებას კი, ეკისრება საკანონმდებლო ხელისუფლების (პარლამენტის) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულება.

იურისტი თამარ კორძაია მიიჩნევს, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ინსპექტორზე კონტროლის უფლების მინიჭება პარლამენტისთვის, უფრო სამართლიანი იქნება.¹³

¹² ადამიანის უფლებები. (2011 წლის 28 დეკემბერი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from netgazeti.ge: <http://netgazeti.ge/GE/86/opinion/7645/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.htm>

¹³ ადამიანის უფლებები. (2011 წლის 28 დეკემბერი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from netgazeti.ge: <http://netgazeti.ge/GE/86/opinion/7645/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.htm>

მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, სწორედ რომ უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ ამ საკითხს და, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან უნდა ამოვიდეთ. საქმე ეხება კონტროლის უფლებას, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ იქნება მისი სამართლიანი განხორციელების უზრუნველყოფის გარანტი. სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხდება ძალაუფლების გადამეტება და ამიტომ მასზე უნდა მოხდეს კონტროლის გამოყენება.

კანონის მიღებამდე, საია-მ გამოაქვეყნა დასკვა, კანონის პროექტთან დაკავშირებით, სადაც რეკომენდაციას იძლეოდა, რომ ინსპექტორის ლეგიტიმაციის ხარისხის ამაღლების მიზნით, მომხდარიყო მისი დანიშვნა პარლამენტის მიერ ხუთი წლის ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.¹⁴

სანქციები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავი ეთმობა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კანონის დარღვევისათვის.

ვთვლი, რომ VII თავით გათვალისწინებული სანქციები გადატანილ უნდა ინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და მისი რეგულირება არ უნდა ხდებოდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რადგან ადმინისტრაციულ გადაცდომებზე სანქციები დაწესებულია სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. თუმცა აქვე დავამატებ, რომ ეს საკანონმდებლო ტექნიკის საკითხი უფროა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ადამიანის უფლებების დარღვევაზე მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა.

§ 4

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება მოკლედ გამოიყოს ის პრობლემატური საკითხები, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი.

ერთ-ერთი პირველი პრობლემატური საკითხი, რომელიც თემასთან იყო დაკავშირებული, არის ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობა, სადაც თანხმობის ერთ-ერთი სახეა ზეპირი თანხმობა. აღნიშნულ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ სრულიად ამოღებული იქნება ტერმინი „ზეპირი“, ან მოხდება მისი დაკონკრეტება, თუ რას ნიშნავს და რა სახისაა ის. საჭიროა განისაზღვროს, რომ მაგ: ზეპირი თანხმობა არის, ვიდეოკამერით ჩაწერილი თანხმობა. ამ

¹⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“. (2010 წლის 17 მაისი). *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*. Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: http://gylla.ge/attachments/730_Daskvna.pdf

შემთხვევაშიც კი, დაცული უნდა იყოს გარკვეული ფორმა. თუ როგორ მოხდება ვიდეო ჩაწერა, ვინ იქნება მასზე კომპეტენტური და პასუხისმგებელი პირი და ა.შ... თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში დახვეწას საჭიროებს ის ჩანაწერი, რომელიც დღეს არსებობს კანონში.

დახვეწას საჭიროებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტიც, რომელიც ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების დაწყებისა და რომელიც ზოგიერთი იურისტის მიერ მიეჩნეულია კონსტიტუციასთან შეუსაბამო მუხლად.¹⁵ დასადგენია, რამდენად არ არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ამ საფუძველით („მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად“) დაიწყოს მონაცემთა დამუშავება.

ასევე ბუნდოვანია „თ“ პუნქტი, სადაც წერია: „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად)“. დასაზუსტებელია, მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად, ვის შესახებ არსებული მონაცემები უნდა დამუშავდეს? თვითონ მონაცემთა სუბიექტის, თუ ვინმე სხვა პირის შესახებ არსებული ინფორმაცია? მიმაჩნია, რომ უნდა ისეთი ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს, მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავებას, ასეთ შემთხვევაში არ შეილახება მესამე პირის უფლებები.

ისევ ბუნდოვნად და გაურკვეველად რჩება ტერმინი „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი“, რაც საკმაოდ ფართო მოქმედების საშუალებას მისცემს ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე.

ასევე ურთიერთშესაბამისობაშია მოსაყვანი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ის მუხლი, რომელიც უშვებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი, რომლითაც იკრძალება სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ჩანაწერი რეალურად ვერც იქნება გამოყენებული.

მიმაჩნია, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეკომენდაცია ინსპექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით, რადგან ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე არ არის რელევანტური, რომ იგი დანიშნული იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მიერ, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ევალება კონტროლი, ის პარლამენტის გადაწყვეტილებებს აღასრულებს. სწორედ აღსრულებაზე ხდება საჭირო

¹⁵ კანონპროექტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევს. (2011 წლის 18 თებერვალი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from [humanrights.ge](http://www.humanrights.ge/): <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12952&lang=geo>

კონტროლი, შესაბამისად ეს უკანასკნელი ვერ იქნება სამართლიანობის გარანტი, რაც აუცილებელია პირადი მონაცემების დამუშავების პროცესში.

კარგი იქნება (ასევე საკონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით) თუ სანქციები გადატანილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ნებისმიერი პირი, რომელიც ეძებს ადმინისტრაციულ სანქციებთან დაკავშირებულ ნორმებს, შესაბამისად მის ნახვას ცდილობს ამ უკანასკნელში. ამ სანქციების სამართალდარღვევათა კოდექსში გადატანაც, სწორედ ამ მხრივ იქნება უფრო მოხერხებული.

ასევე პრობლემატურია, მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების საკითხი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში წერია: „თუ მონაცემთა შეგროვება არ ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია“. კანონი არაფერს ამბობს იმაზე, თუ საიდან შეიძლება შეიტყოს მონაცემთა სუბიექტმა, მასზე მონაცემების დამუშავების შესახებ? როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში დაიწყოს ისეთი მონაცემების შეგროვება, რომლითაც ილაზება ადამიანის უფლებები, მაშინ როცა მან ამის შესახებ არც იცის და შესაბამისად ვერც თავის დაცვას შეძლებს. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ მონაცემების დამმუშავებელს უნდა დაევალოს შეტყობინების ვალდებულება მონაცემთა სუბიექტის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ასეთ ვალდებულებას ითვალისწინებს ლატვიის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. სადაც დეტალურადაა გაწერილი, თუ რა ვალდებულება ეკისრება კონტროლის განმახორციელებელ პირს, მონაცემების დამუშავების დაწყებამდე. ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად: მონაცემთა შეგროვების დაწყებამდე კონტროლის განმახორციელებელი პირი მონაცემთა სუბიექტს ატყობინებს შემდეგ ინფორმაციას: ა) კონტროლის განმახორციელებელი პირის და დამმუშავებელი პირის სახელწოდებას ან სახელს და მისამართს; ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანს და საკანონმდებლო საფუძვლებს. ხოლო მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე, კონტროლის განმახორციელებელი პირი მონაცემთა სუბიექტს ატყობინებს მონაცემთა სავარაუდო მიმღებთა ვინაობას, მონაცემთა სუბიექტის უფლებას, მიიღოს ნებართვა საკუთარი პერსონალური მონაცემების გაცნობასა და მათში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით (მუხლი 8).¹⁶

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივები "პირთა დაცვის შესახებ მათი პირადი მონაცემების გადამუშავების პროცესში და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ"

¹⁶ *Personal Data Protection Law*. (2000 წლის 23 მარტი). Retrieved 2012 წლის 23 თებერვალი from Data State Inspectorate: <http://www.dvi.gov.lv/eng/legislation/pdp/> მუხლი 8.

(Directive 95/46/EC on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data), რომლის მიხედვით „ყოველ პირს, რომლის შესახებაც შეგროვდა ან/და დამუშავდა ინფორმაცია, უფლება აქვს, მაკონტროლებლისგან მოითხოვოს: დასტური, რომ მის შესახებ ინფორმაციას აგროვებენ ან/და ამუშავებენ“.¹⁷

ასევე გაუგებარია მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის დანიშნულება კანონში, სადაც წერია: „დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შესახებ ხელშეკრულების დადება, თუ, უფლებამოსილი პირის საქმიანობიდან ან/და მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების საფრთხე“. ვთვლი, რომ ეს ზედმეტი ჩანაწერია კანონში და არ არის საჭირო, თუნდაც საკანონმდებლო ტექნიკს თვალსაზრისით. თუ მონაცემთა დამუშავება არ არის აკრძალული, მისი დამუშავება კანონის მიხედვით თავისთავად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დამუშავებით არსებობს რაიმე საფრთხე, ეს ისედაც აკრძალულია და ასეც უნდა იყოს. შესაბამისად, ეს ჩანაწერი ზედმეტია.

კანონი ითვალისწინებს საცხოვრებელი შენობის ვიდეოთვალთვალს, თუმცა ამის შესახებ არ არსებობს გაფრთხილების ვალდებულება. კარგი იქნება, თუ აქაც იქნება გათვალისწინებული ვიდეოთვალთვალის შესახებ გაფრთხილების ვალდებულება, როგორც ეს გათვალისწინებულია ქუჩაში ან საჯარო და კერძო დაწესებულების ვიდეოთვალთვალის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, უფრო მაღალი იქნება ჩაწერილი მონაცემების სამართლებრივი ლეგიტიმურობის ხარისხი, ვიდრე ეს „ფარულად“ ჩაწერის შემთხვევაშია.

ასევე დასაზუსტებელია დაბლოკილი მონაცემების (მონაცემთა დამუშავების დროებით შეჩერება) სამართლებრივი მდგომარეობა, მისი იურიდიული ძალა. კანონი არაფერს ამბობს, აქვს თუ არა მას, რაიმე სახის იურიდიული ძალა. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ინფორმაცია არ უნდა იქნეს მიჩნეული იურიდიული ძალის მქონედ.

„პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად - „მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი. მცდარი და არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, ხოლო კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს“.

ზემოთ მოყვანილი ნორმა, „კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული“ მონაცემის დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას ითვალისწინებს. ვიცით, რომ „მონაცემთა დაბლოკვა“ ნიშნავს მონაცემთა დამუშავების დროებით შეჩერებას, ასეთ შემთხვევაში, მართალია შეგროვებული მონაცემების დაბლოკვა მოხდა, მაგრამ ის მაინც არსებობს გარკვეული სახით. ვთვლი, რომ „დაბლოკვა“ უნდა იქნეს ამოღებული და, მოხდეს „კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები“-ს წაშლა ან განადგურება.

¹⁷ ოქრუაშვილი, მ. (2005). *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი. გვ.41.

მონაცემთა დამუშავებელი არის „საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს“. სწორედ ეს ჩანაწერი მიმაჩნია ამ კანონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად, არაფერია ნათქვამი მასზე, როგორც „სისტემაზე“. მაგ. რა მოეთხოვება ფიზიკურს პირს, იმისათვის, რომ მან აწარმოოს მონაცემების დამუშავება (არ იგულისხმება მონაცემთა დამუშავების საფუძველი).

თემაში ასევე განხილული იყო, რომ სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული და ნასამართლეობასთან დაკავშირებული მონაცემები ერთი და იგივე რანგისაა. ეს ჩანაწერი არ მიმაჩნია გამართლებულად, რადგან სქესობრივი ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემები არის კონსტიტუციით დაცული უფლება, შესაბამისად ის უფრო მაღალი რანგისაა და დაცვის მეტ და მყარ გარანტიების საჭიროებს.

როგორც უკვე აღინიშნა, პრობლემატური და ბუნდოვანია „საჯარო ინტერესის“ ცნება. აქ მნიშვნელოვანია, სასამართლო პრაქტიკა, თუ მსგავს შემთხვევებში რას მიიჩნევს ის საჯარო ინტერესის ცნებაში, აუცილებელია, რომ ის მაქსიმალურად დავიწროვებული იყოს და არ მოიცავდეს ფართო სპექტრს. სიღრმისეულად უნდა მოხდეს საჯარო სიკეთისა და კერძო სიკეთის გააზრება, თუ რამდენად უფრო მნიშვნელოვანია კონკრეტულ შემთხვევაში კერძო სიკეთის ხელყოფა საჯარო სიკეთის დასაცავად. გათვალისწინებული უნდა იყოს პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპიც.

ასევე გამოყენებული და გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი, რომლის მიხედვით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა შესაძლებელია რამდენიმე (გამონაკლის) შემთხვევაში, კერძოდ კი: საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის; უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად; ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. სწორედ ამ ჩამონათვალის ფარგლებში უნდა იქნეს მოთავსებული საჯარო ინტერესის ცნება და არ უნდა მიეცეს მას უფრო ფართო ინტერპრეტაციის საშუალება.

ვინაიდან კანონი ახალი მიღებულია მასზე არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, სადაც უკეთ წარმოჩინდებოდა მისი პრობლემატური საკითხები. სასამართლო პრაქტიკა ასევე ხელს შეუწყობს კანონის დახვეწას, რადგან სწორედ დავის შემთხვევაში გამოჩნდება, თუ რაში მდგომარეობს კონკრეტული ნორმის პრობლემა.

რაც მთავარია, კანონი უნდა ემსახურებოდეს იმ აზრისა და რწმენის დაცვას, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, გვჯეროდეს და ვთქვათ - „მე მწამს ჩემი პირადი ხელშეუხებლობის“ (I believe in a zone of privacy - Hillary Clinton).

ციტირებული ლიტერატურა

1. "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. (2011 წლის 28 დეკემბერი). თბილისი, საქართველო.
2. Cooley, T. M. (1888). *A Treatise on the Law of Torts* 29. United States.
3. Costello-Roberts v. the United Kingdom, Series A no. 247-C (The European Court of Human Rights მარტი 25, 1993).
4. *Personal Data Protection Law*. (2000, მარტი 23). Retrieved თებერვალი 23, 2012, from Data State Inspectorate: <http://www.dvi.gov.lv/eng/legislation/pdp/>
5. WHEATON v. PETERS, 591 (U.S. Supreme Court January 1834).
6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია. (1950, ნოემბერი 4).
7. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. (1948 წლის 10 დეკემბერი).
8. *ადამიანის უფლებები*. (2011 წლის 28 დეკემბერი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from netgazeti.ge:
<http://netgazeti.ge/GE/86/opinion/7645/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.htm>
9. იზორია, ლევან; კორკელია, კონსტანტინე; კუბლაშვილი, კონსტანტინე; ხუბუა, გიორგი;. (2005). *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები*. თბილისი: გამომცემლბა "მერიდიანი".
10. *კანონპროექტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევს*. (2011 წლის 18 თებერვალი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from humanrights.ge: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12952&lang=geo>
11. ოქრუაშვილი, მ. (2005). *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
12. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. (1966, დეკემბერი 16).
13. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე "პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ". (2010 წლის 17 მაისი). *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*. Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: http://gyla.ge/attachments/730_Daskvna.pdf

გამოყენებული ლიტერატურა

1. "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. (2011 წლის 28 დეკემბერი). თბილისი, საქართველო.
2. Cooley, T. M. (1888). *A Treatise on the Law of Torts* 29. United States.
3. Costello-Roberts v. the United Kingdom, Series A no. 247-C (The European Court of Human Rights მარტი 25, 1993).
4. James, S. F. (1873). *Liberty, Equality, Fraternity*.
5. PERSONAL DATA PROTECTION CODE. (2003, ივნისი 30).
6. *Personal Data Protection Law*. (2000, მარტი 23). Retrieved თებერვალი 23, 2012, from Data State Inspectorate: <http://www.dvi.gov.lv/eng/legislation/pdp/>
7. This brochure is produced by the Ministry of Justice. (2006, ოქტომბერი). Personal Data Protection. სტოკჰოლმი.
8. WHEATON v. PETERS, 591 (U.S. Supreme Court January 1834).
9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია. (1950, ნოემბერი 4).
10. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. (1948 წლის 10 დეკემბერი).
11. ადამიანის უფლებები. (2011 წლის 28 დეკემბერი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from netgazeti.ge:
<http://netgazeti.ge/GE/86/opinion/7645/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.htm>
12. იზორია, ლევან; კორკელია, კონსტანტინე; კუბლაშვილი, კონსტანტინე; ხუბუა, გიორგი;. (2005). *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".
13. კანონპროექტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევს. (2011 წლის 18 თებერვალი). Retrieved 2012 წლის 20

თებერვალი from humanrights.ge:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12952&lang=geo>

14. ოქრუაშვილი, მ. (2005). *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
15. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. (1966, დეკემბერი 16).
16. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”. (2010 წლის 17 მაისი). *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*. Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: http://gyla.ge/attachments/730_Daskvna.pdf

ბიბლიოგრაფია

1. "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. (2011 წლის 28 დეკემბერი). თბილისი, საქართველო.
2. *Bulgarian Commission for Personal Data Protection* . (n.d.). Retrieved თებერვალი 20, 2012, from Central and Eastern Europe Data Protection Authorities Web Site:
<http://www.ceecprivacy.org/main.php?s=2&k=bulgaria>
3. Cooley, T. M. (1888). *A Treatise on the Law of Torts* 29. United States.
4. Costello-Roberts v. the United Kingdom, Series A no. 247-C (The European Court of Human Rights მარტი 25, 1993).
5. *Focus On Personal Data Protection*. (n.d.). Retrieved თებერვალი 20, 2012, from gemalto:
http://www.gemalto.com/personal_data_protection/index.html
6. James, S. F. (1873). *Liberty, Equality, Fraternity*.
7. PERSONAL DATA PROTECTION CODE. (2003, ივნისი 30).
8. *Personal Data Protection Law*. (2000, მარტი 23). Retrieved თებერვალი 23, 2012, from Data State Inspectorate: <http://www.dvi.gov.lv/eng/legislation/pdp/>
9. Protection of personal data. (2012, იანვარი).
10. This brochure is produced by the Ministry of Justice. (2006, ოქტომბერი). *Personal Data Protection*. სტოკჰოლმი.
11. WHEATON v. PETERS, 591 (U.S. Supreme Court January 1834).
12. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია. (1950, ნოემბერი 4).
13. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. (1948 წლის 10 დეკემბერი).
14. *ადამიანის უფლებები*. (2011 წლის 28 დეკემბერი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from netgazeti.ge:
<http://netgazeti.ge/GE/86/opinion/7645/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.htm>
15. იზორია, ლევან; კორკელია, კონსტანტინე; კუბლაშვილი, კონსტანტინე; ხუბუა, გიორგი;. (2005). *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".

16. კანონპროექტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევს. (2011 წლის 18 თებერვალი). Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from [humanrights.ge](http://www.humanrights.ge/):
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12952&lang=geo>
17. ოქრუაშვილი, მ. (2005). *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
18. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. (1966, დეკემბერი 16).
19. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”. (2010 წლის 17 მაისი). *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*. Retrieved 2012 წლის 20 თებერვალი from საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:
http://gyla.ge/attachments/730_Daskvna.pdf